საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 7 მაისის სხდომის
ოქმი №47

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 36. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. თამაზ მჭედლიშვილი, ასოც. პროფ. ნინო ნიკვაშვილი, პროფ. მარინა ქურდაძე.

წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს. პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ და იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ეს ცვლილებები. (იხ. დანართი).

პროფ. დავით ჯაფარიძე: საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიაზე განხილულ იქნა წარმოდგენილი საკითხი და კომისიამ მხარი დაუჭირა ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს 2010 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

სტუ-ს 2010 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების მუხლის საკანცელარიო ხარჯების პუნქტიდან 1200 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის რეკლამის ხარჯების პუნქტში;

2. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლის სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტიდან 5000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის რეკლამის ხარჯების პუნქტში;

3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების პუნქტიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს ამავე მუხლის რეკლამის ხარჯების პუნქტში;

4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების, ბუნებრივი აირის ხარჯების პუნქტიდან 21000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეულ სხვა დანარჩენი ხარჯების – რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონელი და მომსახურების დანარჩენ მუხლებში“ – პუნქტში, ხოლო იგივე ბუნებრივი აირის ხარჯების პუნქტიდან 5750 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატების, ოპტიკური ხელსაწყოების შეძენის პუნქტში.

– ოფისის ხარჯების, ბუნებრივი აირის ხარჯების პუნქტიდან 35000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის ხარჯების პუნქტში.

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯებიდან 19000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრო-მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატების, ოპტიკური ხელსაწყოების შეძენის პუნქტში.

6. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების, კომპიუტერული მოწყობილობებისა და ელექტრომოწყობილობების შეძენის პუნქტიდან 13254 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის ელექტრომოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა, ოპტიკური ხელსაწყოების შეძენის პუნქტში.

7. ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ეკონომიკური საქმიანობიდან და ცენტრებიდან შემოსავლების გრაფაში ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის წილიდან:

– შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან 2000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის პუნქტში;

– არაფინანსური აქტივების, ძირითადი აქტივების პუნქტიდან 5800 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის პუნქტში.

8. ნაერთი ბიუჯეტის ფასიანი სწავლების გრაფაში სუბსიდიების მუხლში გაწერილი 1000000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასების პუნქტში;

– ასევე ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების პუნქტიდან - 2219952 ლარიდან 802000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის პუნქტში, ხოლო დარჩენილი 1417952 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასის პუნქტში.

9. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლის ხელფასის პუნქტიდან 21200 ლარი გადატანილ იქნეს საქონელი და მომსახურეობის მუხლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტში;

10. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების ხარჯების პუნქტიდან 1000 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში, სტუდბილეთების შეძენის მიზნით (იხ. დანართი №1).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. მინდა მოგაწოდოთ კიდევ ერთი ინფორმაცია. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მეორე სემესტრის სწავლის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ა.წ. 1 ივნისამდე. პირველ სემესტრში შემოსულ თანხებთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სურათი: სამშენებლო ფაკულტეტი – 46%, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 66%, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 27%, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 43%, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 52%, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 56%, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი – 75%, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 57%.

საშუალო გადახდა შეადგენს 59%-ს. თუ ჩვენ ფულს ივნისის ბოლომდე 100%-ით ამოვიღებთ, საბოლოოდ ველოდებით თანხას 3 მილიონის ოდენობით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: საჭიროა მკაცრი ზომების მიღება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე აწევთ ფაკულტეტის დეკანებს და მათ ეს სამუშაო უნდა ჩაატარონ. რომელი სტუდენტიც თანხას ვერ დაფარავს, გაირიცხება. ვინც გადამხდელუუნაროა, ის უნდა გაირიცხოს და მის ნაცვლად მობილობით გადმოვიდეს სხვა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ – მომხს. პროფ. გ. აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: აკადემიური საბჭოს №221 დადგენილებით 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრები დარჩა იგივე, რაც იყო პირველ სემესტრში. მან წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნიხრები (იხ. დანართი).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №221 დადგენილება, კერძოდ:

1. ***2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:***
    - ***აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;***
    - ***აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირი – 3,50 ლარი საათში.***
2. ***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზევით განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:***
    - ***სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;***

- *ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პროფესორი ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,10 ლარი საათში;*
- *ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრების ტიპობრივი დებულების შესწორებული ვარიანტის დამტკიცების შესახებ – მომხს. პროფ. ზაზა მიქაძე.

პროფ. ზაზა მიქაძე: სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრების განხილვის დროს ჩვენი მიზანი იყო ინტელექტუალური შესაძლებლობა დაგვებანდებინა უნივერსიტეტის კედლებში, რადგან ცენტრი წარმოადგენს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს. ადრე წარმოდგენილ დებულებებში იყო უზუსტობები, რომლებიც გაასწორეს იურისტებმა, ამიტომ ტიპობრივი დებულების შესწორებულ ვარიანტთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნები. კერძოდ: 1. ნაცვლად: "ცენტრს გადაეცემა ტექნიკური უნივერსიტეტის შენობა", იქნება: "ცენტრს გადაეცეს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობა სარგებლობის უფლებით". 2. ნაცვლად: " ცენტრს ეძლევა ბიუჯეტთან და სტუ-სთან ანგარიშგების უფლება", (ბიუჯეტთან ცენტრს არა აქვს შეხება), იქნება: "ცენტრს ეძლევა სტუ-სთან ანგარიშგების უფლება".

სპიკერი: უკვე წარმოდგენილ დებულებებში ეს არ არის გათვალისწინებული და რა ვქნათ?

პროფ. ზაზა მიქაძე: ყველა ცენტრი ამ დებულებას ჩაასწორებს აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ზოგიერთი ცენტრი დამითაც მუშაობს და ხარჯავს ელექტროენერგიას და წყალს. ვინ დაფარავს ამ თანხებს?

პროფ. ზაზა მიქაძე: ყველა ცენტრს ექნება თავისი მრიცხველი. ბუღალტერიაში დევს 2008 წელში ელექტროენერგიის გადახდილი თანხების ქვითრები. 2009 და 2010 წლის ჯერ არ აქვთ. რომელი ცენტრიც არ გადაიხდის ელექტროენერგიის საფასურს, ის გაუქმდება.

პროფ. გივი გოლეთიანი: თუ ცენტრში თანამშრომლის მიღება და განთავისუფლება დარჩება რექტორის კომპეტენციაში, ეს იქნება ნონსენსი.

პროფ. ზაზა მიქაძე: დებულებაში წერია, რომ ცენტრის უფროსის წარდგინებით თანამშრომელს იღებს და ანთავისუფლებს რექტორი.

პროფ. გივი გოლეთიანი: ვოქვათ, ცენტრმა თავისი საქმიანობის შედეგად გარკვეული თანხა მოიზიდა, ეს თანხა დაჯდა სტუ-ს ანგარიშზე ამ თანხების განაწილების წესი თუ არსებობს?

პროფ. ზაზა მიქაძე: იხილეთ მუხლი 4.3: ერთეულს უფლება აქვს, სტუ-სთან ანგარიშსწორების შემდეგ, ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს შეხედულებისამებრ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრების ტიპობრივი დებულების შესწორებული ვარიანტის დამტკიცების შესახებ (აკადემიური საბჭოს №228 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №228 წარმოდგენილი დადგენილება – "თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრების ტიპობრივი დებულების" შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხები – მომხსენებელი პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად რამდენიმე ცენტრის შექმნის საკითხს და ამ ცენტრების დებულებებს. მოგახსენებთ, რომ ამ ცენტრების შექმნის საკითხი განხილულია აკადემიურ საბჭოზე და დებულებები შედგენილია ტიპობრივი დებულების საფუძველზე. ჩვენ ვისაუბრებთ შემდეგ ცენტრებზე:

1. საინოვაციო-საპროექტო საუნივერსიტეტო ცენტრის "სუფთა წყალი"–ს შექმნასა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცებაზე;
2. სტუ-სთან არსებული შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კვლევების საერთაშორისო ცენტრის შექმნასა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცებაზე;

3. სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური საშუალებების და ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის შექმნასა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა წარმოადგინა ამ ცენტრების მუშაობის ძირითადი მიმართულებები. შეკითხვები არ დასმულა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხები. წარმოდგენილი საკითხები კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი საინოვაციო-საპროექტო საუნივერსიტეტო ცენტრის "სუფთა წყალი" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს №229 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს 229 დადგენილება – საინოვაციო-საპროექტო საუნივერსიტეტო ცენტრის "სუფთა წყალი" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: IV თავის (ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები) პუნქტი 4.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცენტრს უფლება აქვს სტუ-სთან ანგარიშსწორების შემდეგ მის ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ".

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-სთან არსებული "შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კვლევების საერთაშორისო ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს №232 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №232 დადგენილება სტუ-სთან არსებული "შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კვლევების საერთაშორისო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: IV თავის (ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები) პუნქტი 4.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცენტრს უფლება აქვს სტუ-სთან ანგარიშსწორების შემდეგ მის ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ".

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე "რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური საშუალებების და ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს №233 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №233 დადგენილება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე "რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური საშუალებების და ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: IV თავის (ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები) პუნქტი 4.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცენტრს უფლება აქვს სტუ-სთან ანგარიშსწორების შემდეგ მის ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ".

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხები – მომხსენებელი პროფ. ზაზა მიქაძე.

პროფ. ზაზა მიქაძე: წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად

1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის "დანაფარებისა და ნანონაწილაკების ელექტროქიმიური ტექნოლოგიების ცენტრის" დებულებას და ამ ცენტრის შექმნის საკითხს;

2. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან "კიბერუსაფრთხოების" სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხს;
3. ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული ინვესტიციების მოზიდვისა და მართვის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხს.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ ცენტრების შექმნის საკითხი და ამ ცენტრების დებულებები მიღებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ.

სპიკერი – მივმართავ საბჭოს წევრებს – თუ გაქვთ შეკითხვები გთხოვთ, დაუსვათ მომხსენებელს.

სხდომაზე საბჭოს წევრების მხრიდან გაიჟღერა სხვადასხვა კითხვებმა, რაზეც მომხსენებელმა სრულფასოვანი პასუხები ვერ გასცა. ამიტომ **მიღებული იქნა გადაწყვეტილება შემდეგი ფორმულირებით: მომავალში ყველა ცენტრის ხელმძღვანელი გამოცხადდეს სხდომაზე, გამოიტანოს დებულება და ყველა კითხვაზე თვითონ გასცეს ამომწურავი პასუხი.**

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხები კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის "დანაფარებისა და ნანონაწილაკების ელექტროქიმიური ტექნოლოგიების ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს №230 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №230 დადგენილება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის "დანაფარებისა და ნანონაწილაკების ელექტროქიმიური ტექნოლოგიების ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: IV თავის (ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები) პუნქტი 4.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცენტრს უფლება აქვს სტუ-სთან

ანგარიშსწორების შემდეგ მის ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ".

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან "კიბერუსაფრთხოების" სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს №231 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №231 დადგენილება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან "კიბერუსაფრთხოების" სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება შენიშვნის გათვალისწინებით: IV თავის (ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები) პუნქტი 4.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ცენტრს უფლება აქვს სტუ-სთან ანგარიშსწორების შემდეგ მის ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ".

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული ინვესტიციების მოზიდვისა და მართვის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს №234 დადგენილება).

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №234 დადგენილება ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული ინვესტიციების მოზიდვისა და მართვის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: IV თავის (ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები) პუნქტი 4.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ცენტრს უფლება აქვს სტუ-სთან ანგარიშსწორების შემდეგ მის ანგარიშზე დარჩენილი თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ”.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეათე საკითხი – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის IV კურსის №15640 ჯგუფის სტუდენტის რაჰიმ მოშტაგის განცხადებასთან დაკავშირებით სტუ-ს აკადემიური საბჭოს №239 დადგენილების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. იური ლომიძე.

პროფ. იური ლომიძე: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის IV კურსის №15640 ჯგუფის სტუდენტს რაჰიმ მოშტაგს ოჯახური პირობების გამო მოუხდა სამშობლოში დაბრუნება, რამაც მას აქ შეუქმნა პრობლემა. იგი ვერ ახერხებს კრედიტის დაფარვას. გთხოვთ, მოგვცეთ უფლება გავანთავისუფლოთ იგი ამ გადასახადისაგან.

საბჭოს წევრებმა სტუდენტი რაჰიმ მოშტაგი დაახასიათეს, როგორც ბეჯითი და დადებითი სტუდენტი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ეს საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 7 მაისის №47 სხდომაზე პროფ. იური ლომიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის IV კურსის №15640 ჯგუფის სტუდენტის რაჰიმ მოშტაგის განცხადებასთან დაკავშირებით სტუ-ს აკადემიური საბჭოს №239 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვიტილებით, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №239 დადგენილება. სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის IV კურსის №15640 ჯგუფის სტუდენტის რაჰიმ მოშტაგის თხოვნა დაკმაყოფილდეს და იგი გათავისუფლდეს 15 კრედიტის სწავლის საფასურის გადასახადისაგან.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი გინა გურეშიძე